№ 246 ნოემბერი 18, შაბათი 1889 ნოემბერი 18, შაბათი № 246


# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 65 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაზოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—5)

იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში:

**ისტორია საქართველოსი**

(უძველეს დროიდამ მეათე საუკუნემდე)

თხზ. დიმ. ბაქრაძისა.

ფასი 1 მან.

მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი

(ლ. რაზიკაშვილისა.)

ფასი 30 კაპ.

(5—4)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 21 ნოემბერს,

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**შვილობილი**

კომედია 3 მოქმედ., კ. ყიფიანისა

II

**ანუკა ბატონიშვილი**

ისტორიული დრამა 3 მოქმედ., დ. მესხისა.

მოთამაშენი: ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი, ქ-ნი ავალიშვილისა და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 16 ნოემბერს, დილის თერთმეტ საათზედ, მობრძანდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი ტფილისის სასულიერო სემინარიაში, დაიარა ყველა კლასები და კარგა ხანს დაჰყო ყველგან. შემდეგ ეგზარხოსმა ინება და დაათვალიერა იქვე სემინარიის ეზოში მოთავსებული სამაგალითო სამრევლო სკოლა, სადაც პატარა მოწაფეები მისმა მეუფებამ სამღვთო წერილის ცოდნაში გამოსცადა. ეგზარხოსმა პატარა შეგირდებს დაურიგა პატარ-პატარა ჯვრები.

*** ამ უკანასკნელს ხანებში ქალაქის გამგეობამ ზოგიერთ სახლის პატრონებს დაურიგა წერილები, რომ თავიანთ სახლებს ქუჩის პირას ტროტუარები დაუფინონ. ეს აზრი ფრიად ჩინებულია, მეტადრე იმისთანა ტალახიანს ქალაქში, როგორიც ტფილისია, სადაც ერთი ბეწო წვიმა საკმარისია, რომ კაცმა თავი გარეთ ვეღარ გამოჰყოს. სახლის პატრონთა საქებრად უნდა ვსთქვათ, რომ ეისაცკი ასეთი ბარათი მისვლია გამგეობისა, თითქმის არც ერთს არ უთქვამს უარი და ყველანი ხალისიანად შესდგომიან ტროტუარების დაფენას, რადგან რიგიანი ტროტუარი ერთი უდიდესი საჭიროებათაგანია ჩვენის ქალაქის სახლისა. ამიტომ კარგს იზამდა გამგეობა, რომ სავალდებულო გაეხადნა მთელს ქალაქში დაფენა ტროტუარებისა ყოველ მოსახლისთვის, რომლის სადგომები ფასით სამს თუმანზე მეტი ღირს. ასეთის განკარგულებით თითქმის მთელი ტფილისი ტროტუარებით მოირთვებოდა და სიარული ისეთი საგმირო საქმე აღარ იქნებოდა, როგორიც დღეს არის, როდესაც არა თუ სამ თუმნიან სახლების წინ არ არის გამართული ტროტუარი, არამედ ათას და ორი ათას თუმნიან შენობების წინაც შესაძლოა კაცმა თავი ჩაირჩოს ტალახის მორევში.

*** ჩვენს ქალაქს ბევრი გასართობი და გასამხიარულებელი ადგილი აქვს: ოპერა, ოპერეტი, არტისტიული საზოგადოება და მრავალი სხვა, თუნდა კლუბებიც რომ არ დავასახელოთ, მაგრამ, თუმცა ოპერაც და ოპერეტიც თითქმის ყოველ საღამოს ცალიერია, მაინც კიდევ და კიდევ გვემატება და გვიმრავლდება. მაგალითებრ, ვიღაცას ვასილიევის ბალი უკვე აუღია, გამოუწერია მომღერალი ქალები და ამ ზამთარში უნდა ბალში ამღეროს. გუშინ კიდევ, პარასკევს, ტფილისში ჩამოვიდა ბაქოდგან ტომსონის ცირკი, რომელიც შაბათს, ან კვირას გაჰმართავს პირველს წარმოდგენას. ექვსი სპილო უკვე ჩამოიყვანეს და მეშვიდეც გამოუწერიათ ჰამბურგიდგან ახალი გაწვრთნილი სპილო 13,000 მანეთად.

*** ბაქოს საქალაქო გამგეობას უთხოვნია კავკასიის მკურნალთა საზოგადოებისათვის: გვირჩიეთ, მტკვრიდგან გამოვიყვანოთ წყალი ბაქოსათვის, თუ შეიძლება ზღვის წყალი ვწმინდოთ და ის ვასვათ ბაქოელებსაო. ამ საგნის განხილვა საზოგადოებას მიუნდვია ცალკე კომისიისათვის, რომელიც ჯერ-ჯერობით არც ერთხელ არ შეკრებილა, თუმცა უკვე თთვეზე მეტია, რაც ბაქოს გამგეობას თავისი თხოვნა გამოუგზავნია. საზოგადოებამ გადასწყვიტა სთხოვოს კომისიის წევრთ, რაც შეიძლება მალე შეიკრიბონ და განიხილონ ის საგანი, რომელიც იმათ აქვთ მინდობილი.

*** კახეთი: კარგა ხანია აღარ გვინახავს ასეთი ყოვლად უნუგეშო წელიწადი. აქ აღარსად ღვინოა, აღარსად პური და აღარსად რამ სხვა გვარი გამორჩენა. გუთნეულის პატრონი ზის გულ-ხელ დაკრეფილი და უნუგეშოდ შესცქერის თავის გამწარებულს სიცოცხლეს. აქამდის მოუსაელობასა და უქონლობას სხვა მხრივ შეავსებდნენ: მიდიოდნენ ზარდაოს მარილზედ, ეზიდებოდნენ წელიწადი—თორმეტი თთვე კახეთიდგან ღვინოებს და სხ.-და-სხ. წარმოიდგინეთ, რომ ღვინოების ზიდვაც-კი მოსაგონებელ საგნად გაუხდათ. თავიანთის ხელით გაკეთებული გზები თითონვე გაუხდათ ჭირად: ფურგუნები, რომლებიც კვლავ იშვიათი სანახავი იყო კახეთის გზებზედ, ეხლა იმდენი გააჩინეს მალაკნებმა, თათრებმა და მედუქნეებმა, რომ ფეხს ვერ აუქცევთ, ჩვენი მამა-პაპური ურმები-კი უყურადღებოდ მიატოვეს სირაჯებმა. ცხოვრებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ეგონება გარეშე მაყურებელს: ეს საქონელი სოფლის კაცს იმიტომ ჰყავს, რომ ინახოს, იზრუნოს წლითი-წლობამდის იმათის სადგომისა და საჭმელ-სასმელისათვის და არა იმიტომ, რომ იმსახუროს და გაიადვილოს ცხოვრება. მართლა-და რაღაც უკუღმა დატრიალდა წუთი-სოფელი, ხარისა და ურმის პატრონი უხაროს შენატრის: «შენ, ჩემო ძმაო, სამუშაოდ და მოსანაგრებლად თუნდ შავს ზღვაზედ წახვალ, თუნდ თეთრზედაო, ეტყვის ხოლმე საქონლის პატრონი უხაროს: მე-კი სწორედ რომ მიბმული ვარ თავლისა და საბძლის კარებზედ, დღეში ორჯელ ვჰვეტავ ბოსელს, ორჯელ უყრი ბზეს, ორჯელ ვასმევ წყალს, ორჯელ ვიყურებ და ვსწმენდ და ნეტა-კი ერთხელ მაინც მომცეს საიდგანმე ორი შაურიო».

*** 16 ნოემბერს, დილის 8 საათზე, იპოვეს თავის ფარდულში ჩამორჩობილი მეკარე პირველ კლასიკურის გიმნაზიისა ტფილისის მოქალაქე ვასილ ზასენკო. დამრჩვა-

## ფელეტონი

### ხახულის ღვთისმშობელი

შესანიშნავი ხახულის ღვთის-მშობლის ხატი დღეს ასვენია გაენათის ანუ გელათის დიდებულს მონასტერში. ამ ხატს ხახულისა იმიტომ ჰქვიან, რომ იგი გამოტანილია დიდებულისავე ხახულის ტაძრიდამ, იმ ტაძრიდამ, საცა ბერად შედგა გიორგი მთაწმინდელი, სალმთო წიგნთა მთარგმნელი.

ხახულის მონასტერი იმყოფება ძველს სამცხეში ანუ აწინდელს ბათუმის ოლქში. იგი მდებარეობს მდ. შიფაქლუს კიდეზედ. ვახუშტი სწერს: შიფაქლუს ხევზედ, შიფაქლუს მთის კალთას არს ეკკლესია—მონასტერი ხახულისა, ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა, დიდი გუნბათიანი, დიდშვენიერად გებული, შვენიერს კარგს ადგილს. აღაშენა დავით კურაპალატმან (976—981), ბაგრატ მე-III-ე (980—1014) მეფის მამობილმან. აქავ არს ეკკლესია ფრიად შვენიერი, დიდ-შენი, რომელი აღაშენა 48 მეფემან დავით, არამედ აწ უქმცალიერ; და ხატი ამისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერე თამარ მეფემან“.

ამავ მონასტერის შესახებ ნერსეს სარგისიანი სწერს, რომ იგი მდებარეობს სოფ. ხახუს, ვრცელსა და მშვენიერს ველზედ; გარშემო დაბალი გალავანი არტყია. მონასტერი მშვენიერად შენახულა. კარების თავზედ ქართულად აწერია: „მე, დავით... დავაფუძნე... ალაპი“. სხვა ნაწერებიც არის და ეკკლესია დღეს მეჩითად გადაუქცევიათო.

მონასტრის სურათი გადაუღია ერმაკოვს. სურათზედ ეტყობა, რომ ხახულის მონასტერი ერთი უმშვენიერესთაგანი ძეგლია საქართველოს ძველის დროის ხუროთ-მოძღვრებისა.

ხახულის ღვთის-მშობლის ხატის სურათიც გადმოუხატავს ბ-ნ ერმაკოვს. ჯერ ამ გადმოღებულ პირის ხელოვნებასაც აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი თავისის ხელოვნებით და, რაღა თქმა უნდა, თვით დედანი უაღრესის ღირსებისა იქნება, როგორც ჰმოწმობენ მრავალნი მნახველნი და მცოდნე კაცნი.

ხახულის ხატი მოჭედილია ბაჯაღლო ოქროთი და მისი ფრთენი სულ მთლად მინანქრიანია. ძვირფას ქვებით გაკეთებულ რგოლებში გამოხატულია მაცხოვარი, ანგელოზები, დიდი მოწამე პანტელეიმონი და მრავალი სხვა წმინდანები. ხოლო ხატის შუაგულში წარმოდგენილია ღვთის-მშობელი მარიამი. ხატი მოჭედილია იაგუნდებით, ლალებით, მარგალიტებითა და სხ. ძვირფას ქვებით. ხატს ორივ მხრივ ცალკე ფრთები აქვს გაკეთებული, რომელიც აგრეთვე მინანქრიანია, მრავალის ძვირფასის ქვით შემკული.

ხახულის ხატი ხელოვნებას გარდა შესანიშნავია აგრეთვე ისტორიულადაც. იგი ხატი თავის წარწერებით საქართველოს უდიდებულესს მეფეების ღვაწლსა და შრომას გვაგონებს, ვითარცა დავით აღმაშენებელისას, მისის ძის დიმიტრისა და თამარისას. ხახულის ხატი ის წმიდათა-წმიდაა, რომელსაც ესავდნენ და ემთხვეოდნენ დიდებულნი მეფენი საქართველოსანი და რომელიც დღემდე ქართველთ მიაჩნიათ თავის მფარველმხსნელად.

ხახულის ღვთის-მშობელს ტანთ ასხია მსხვილის მარგალიტით ჩაქსოვილი კვართი, რომლითაც იგი შეამკო დავითის ძემ დიმიტრიმ მამის ანდერძის მიხედვით. ანდერძში მეფე ბრძანებს: „ხოლო ჩემნი ლალნი და თვალ-მარგალიტნი ხახულისა ღვთისმშობლისად შემიწირავსო“. ანდერძი დიმიტრის შეუსრულებია, როგორც სჩანს მის მიერვე მონაწერიდამ.

ვითარ ძველსადვე მადლით ღვთის მიმ-
მელმან, შენ აჰყვავენ-რაჲ მის შორის, დედოფალო, ამდიდრნა მკობად ნივთნი, შენ ღვთის ტაძრისა, ეგრეთ აწ დავით, დავითის მორჩმან, სულით-სხეულით-ტაძრითურთ ეძლვნა, ქალწულო; ხოლო ახალმან ვესელეალ, სოლომონ ძეობით, ფლობით მრჩობლ[1]) ტალანტნი, დიმიტრი და სამყაროის მზებრ აცისკრა მორფი[2]) შენი აწ ჟამთა ფლობის ახად, ოჲ, ღვთის მშობელო, და ზენა ქრისტეს შენისთანა მეფობად.

ხახულის ღვთის-მშობლის გვირგვინში არის ოთხი დიდრონი და შვიდი მომცრო ლალი. ყოველ ლალს თავისი საკუთარი სახელი აქვს: ობოლა, კედელა და მედეგა. ობოლა ყველაზე დიდს ლალსა ჰქვიან. რადგან იგი სხვა ლალებთან შედარებით ობოლია, ტოლი არა აქვს. კედელას, ვითარცა კედელს, ობოლ ლალსა და მომცროებ შორისი ადგილი უჭერია, მედეგა (ანუ მოდევი) სიდიდით ობოლის მომდევნოა, მომდევი. ეს ლალები ღვთის-მშობლისთვის, როგორც გადმოგვცემს ლეგენდა, შეუწირავს თამარ-დედოფალს.

აი თვით ლეგენდაც. თამარი იყო გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა გამკითხავი. თავის სიცოცხლეში არც ერთი მთხოვარი უნუგეშოდ არ დაუტოვებია და უკან არ გაუბრუნებია. ერთს დღეს თამარი გელათის მონასტრის სასახლეში ბრძანდებოდა. დღესასწაული იყო და წირვის მოსასმენად ემზადებოდა, იმოსებ-ირთვებოდა და ლალებს იკეთებდა გულზედ. ამ დროს შინა-ყმამ მოახსენა, რომ გლახაკი დედაკაცი მოწყალებას თხოულობსო. თამარმა უბძანა, დაიცადოსო. დედოფალი შემოსვას მორჩა და სასახლიდამ გამობრძანდა. მოიკითხა მთხოვარი, მაგრამ იმას აღარ დაეცადნა და წასულიყო. შესწუხდა თამარი, ეს რა მომივიდა, მათხოვარას არ განმკითხველმა თვით ქრისტე იესო არ განვიკითხეო. ეს ცოდო სულ ამ ლალების ბრალიაო, ამათ დამაგვიანესო და, შეცოდების მოსანანიებლად, მოიხსნა იგი ლალები და ხახულის ღვთისმშობლის გვირგვინს შემოარტყა.

იმავე ხატს თამარ დედოფალმა მიართვა ძვირფასი დრო'მა შემდეგის წარწერით:

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა:
მე საუკუნოს, პირველი და კუალადი;
სულმან ღმერთმან სრულ ჰყო არ მოქმედებადი;
სამებით სრულმან, ერთითა ღვთაებითა
მიწით პირველსა პირმშოსა კაცთასა.
შენ მიერ მისთვის დრკუისა[3]) მის განმგები,
დრკუი მიდრკა უვნები ვნებისადმი,
იგნო და გნება პირველი უვნებელ ჰყო,

1) მრჩობლი, ანუ ორკეცად.
2) მორფი—სახე.
3) დრკუ—ურჩი, მრუდი.

ლის გვამი გაჰგზავნეს ანატომიურს თეატრში. გამოძიება სწარმოებს.

*** 16 ნოემბერს ერევნის მოედანზე უეცრივ გარდაიცვალა კიზილ-განჯელი გლეხი მათეოს სარქისოვი. გვამი ანატომიურს თეატრში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

## მკურნალთა საზოგადოების კრება

(16 ნოემბერი)

ფრიად საყურადღებო იყო ამ კრებაზედ ლაპარაკი რკინის გზის უფროსის მკურნალის სახაროვისა მალარიის შესახებ. მალარია, ანუ ციებ-ცხელება, ჩნდება უფრო იქ, სადაც ჭაობიანი ადგილია, სადაც წყალი დაგუბებულია და ჭაობად გადაქცეული. ამისთანა ადგილები ჩვენს რკინის გზაზე ბევრია: მაგალითად, ბათუმი, ნატანები, ევლახი, აჯი-ქაბული და ბევრი სხვა ადგილიცა. ამ მხრით დაცულია მალარიისაგან მხოლოდ სადგურები: ტფილისისა, სურამისა და ფონისა. მას აქეთ, რაც რკინის გზა არსებობს ამიერ-კავკასიაში, რკინის გზის მსახურთა შორის 66,000 ავადმყოფი იყო. ამათ შორის 41,000 სულ ციებ-ცხელებით, ანუ მალარიით გახდა ავად. ხანდახან ისე მოედებოდათ ხოლმე ეს ციებ-ცხელება, რომ რკინის გზის მთავრობას ეშინოდა, რკინის გზის სიარული არ შესწყდეს მოსამსახურეთა ავადმყოფობის გამოო. შვიდი ფუთი ქინაქინა მონდომებიათ ამ ციებ-ცხელებიან ავადმყოფებს. სახაროვის ანგარიშით, მხედველობაში რომ მიიღოთ მოსამსახურეთა ცოლ-შვილიცაო, თითო მოსამსახურე რკინის გზისა, ორთაშუა რაცხვით, წელიწადში სამჯერ ხდება ავად მალარიითაო. უკეთესი ღონისძიება მალარიის წამლობისა ჰაერის გამოცვლაა, ანუ მოშორება იმ ადგილისა, სადაც ავადმყოფობა დაეწყო. სურამის ჰაერი ძრიელ ჰრგებს მალარიით შეპყრობილთ. ამიტომ, სახაროვის აზრით, დიდად სასარგებლო იქნებოდა კლიმატებურის სტანციის დაარსება სურამში. ამ სტანციის გამართვას საიმისო დიდი ფული არ დასჭირდებაო. 1888 წელს რკინის გზის მთავრობამ დახარჯა ავადმყოფთათვის 34,000 მან. დაუმატეთ ამას ის ფულიც, რომელიც რკინის გზამ უნდა მისცეს, წესდების ძალით, იმათ, ვინც მალარიის გამო დაუძლურებულა და აღარ შეუძლიან სამსახური. ეს ორ-გვარი ხარჯი, რომელიც ეხლა აქვს რკინის გზას, ერთად რომ შეერთდეს, ბევრიც მოვა კლიმატებურის სტანციის გასამართავად სურამშიო და აღარც იმოდენა ქინაქინა მოუნდებაო.

წინად ჰფიქრობდნენ, რომ მალარიით ავადმყოფის სისხლში ჩნდება ბაქტერიები, ანუ სამცენარეო ორგანიზმებიო. ეხლანდელმა იტალიის მეცნიერებმა და ფრანგმა ლაფერანმა-კი უარ-ჰყვეს ზემოხსენებული აზრი და ამტკიცებენ, რომ ბაქტერიები ანუ სამცენარეო ორგანიზმები-კი არ აჩენენ მალარიას, არამედ ამიობები, ანუ ცხოველი ორგანიზმები, ესრედ წოდებული პლასმოდიებიო. ამისთანა პლასმოდიები ჰპოვეს მეცნიერებმა თითოეულს სისხლის ბუშტში.

მალარიის გაძლიერებასთან ერთად პლასმოდიებიც იზრდებიან და მათში ჩნდება შავი ნაწილები. ქინაქინა ჰკლავს ამ პლასმოდიებს და ამიტომ მალარიით ავადმყოფს ქინაქინს ასმევენ ხოლმე. გაძლიერებული მალარია ჰკლავს კაცს, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ქინაქინამ ვერ მოარჩინა ავადმყოფი, არამედ იმიტომ-რომ მისი დალევინება შეუძლებელია, ხოლო შეშხაპუნება კანში-კი ისე ვერა ჰმოქმედობს ავადმყოფზე, რომ მოარჩინოს სნეული.

სახაროვმა ყოველივე ისე გარკვევით ახსნა და თვალ-საჩინოდ დაანახვა კრებას ეკრანზე სამიკროსკოპო პრეპარატები. გათავებისას კრება ტაშის კვრით მიეგება ბ-ნს სახაროვს.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. მიქელ-გაბრიელი (გურია). კაი ხანია, რაც ბრწყინვალე მზე არ გამოჩენილა და თავისი გამაცოცხლებელი სხივები არ მოუფენია ჩვენს მხარეზე; სამაგიეროდ, ქარ-ბუქი და სეტყვა-წვიმა გაბატონდა და იმათ დაიპარჩინეს ბურთი და მოედანი. ჰაერის გაჰინჭყლიანება და ხანგრძლივი ცუდი ამინდები სხვებზე მომეტებულად აქაურებისთვის არის შემაწუხებელი და დამტანჯველი, რადგან გურიაში არც ერთი სოფელი არ არის, სადაც ასეთი ხაძაგელი გზები იყოს, როგორიც აქ არის.

თუ ამ სოფელში არ ბრძანებულხართ და მოიწადინებთ გაგებას, რა ყოფაშია ყველა საჭირო გზები, უნდა წარმოიდგინოთ: აღმართ-დაღმართზე გაკვალული ვიწრო გზები, ოღროჩოღრო, თიხიანი მიწის ნიადაგი, მუხლამდე წებოსავით ტალახი, საჭირო ადგილებზე უბოგირობა, და მიხვედებით, რომ ვერაფერი შვილი გზები ყოფილა. როგორ აფერხებს და აბორკილებს გზების უვარგისობა ყოველ გვარს წარმატებასა და წინ-წაწევას, აშკარაა. ამ მხრივ ყველა ზარალი რომ დავასახელოთ, ერთობ გრძელი და უსიამოვნო წერილი გამოგვივა.

მიქელ-გაბრიელები ზნეობით, მხნეობით, გამრჯელობით და სხვა საერთო სასიკეთო საქმის გაკეთებაში, ახლომახლო სოფლებთან შედარებით, დაწინაურებულნი არიან, ხოლო რაც შეეხება გზების განკარგებას, აქ-კი, უზრუნველობა ეტყობათ. ძნელად ასახსნელიც-კია, თუ რას უნდა მიეწეროს ეს მოვლენა? ვერც იმას ვიტყვით, რომ კარგის გზების მონატრულნი არ იყვნენ, მაგრამ მარტო ნატვრით მთა და ბარი როგორ გასწორდება!

ამ ორის წლის წინად ჩვენში ბოქაულად ყოფილმა ლუმბაძემ გამოიწვია გლეხები სოფელ ჯანცეღარიიდგან დაწყებული ნატანების სადგურამდე გზის ხაცეთებლად. ახალი გეგმა შეადგინეს და მუშაობაც დაიწყეს. ზოგმა გეგმას მოუდო მიზეზი, ჩემის ეზოს სიახლოვეს გაიარაო, შიშის ზარმა აიტანა და გაიძახოდნენ: გზა-ტკეცილი კეთდება, არიქაბელი მგზავრი დაიწყებს სიარულს, გაგვიჭირდება ცხოვრება, ეტლების რიხინი გამოგვაყრუებსო. მაგრამ აგცილდეთ გასაჭირი, რომ იმათი შიში და თავის შეწუხება უსაფუძვლო გამოდგა. 3—4 დღის შემდეგ შესწყვიტეს მუშაობა და ამ საგანზე მერე ლაპარაკიც-კი აღარა ჰქონიათ. გზა ისევ მამა-პაპურს მდგომარეობაშია. ეტლები-კი არა, აქაური ჩოჩია ურმებიც რის ვაი-ვაგლახით დადის და 20 ფუთს ტვირთს დიდის გაჭირებით მიაწოწიალებს, თუმცა ხეირიანი გზა რომ იყოს, ერთი ხარ-ურემი 45 ფუთს ადვილად წაიღებს.

სულ ნახევარი წელიწადი არ არის, რაც ბ-ნი მდივანი დაინიშნა ჩვენის განყოფილების ბოქაულად და დიდის თანაგრძნობითაც ეპყრობა ხალხის საჭიროებას და ყველაც მომადლიერებული ჰყავს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც ამ სოფლისათვის ფრიად საჭირო საქმეს, როგორც გზების შეკეთებაა, მოაკლებს ყურადღებას: დაავალებს, ვისდამიც ჯერ არს, ხელს შეუწყობს და ამით უფრო მომეტებულს სიყვარულსა და მადლობას დაიმსახურებს.

როგორც ამას წინადაც გწერდით, აქ საქონლის ჭირი იყო, რის წყალობითაც 30 კომლი კაცი საქონლისაგან სულ ერთიან ხელ-ცარიელი დარჩა. ამათში მეტად დიდი ზარალი მოუვიდა აქაურ მემამულეს თ. მ. ნ—ძეს, რომელსაც ჭირმა 400 სული საქონელი გაუწყვიტა. ახლა ჭირი რომ დასცხრა, გლეხები ამბობენ: ჩვენ ასეთი შემთხვევა სხვა დროს არა გვქონია, გვეგონა რაღაც ღვთისაგან გამოგზავნილი რისხვა არისო და აღარც-კი ვფიქრობდით ვისმეს თუ გადაურჩებოდაო. მეზობელს რომ საქონელი ეხოცებოდა, გადავიწყვიტეთ იმედი და აღარც-კი ვსცდილობდით, რომ ჩვენი კარგად მყოფი საქონელი ავადმყოფისაგან შორს გვყოლოდაო. ზარალი დიდი მოუვიდა ჩვენს სოფელს, მაგრამ შემდეგისათვის საჭირო ჭკუა და გამოცდილება შევიძინეთო. დაზარალებულები გულს არ იტეხენ და სცდილობენ, შეძლებისა დაგვარად, წამხდარის საქმის გამოკეთებას. მემამულემ ჯერ ჯერობით 100 სულამდე საქონელი ისევ შეიძინა.

თეოფანე კალანდარიშვილი

## უბედურება ალკოჰოლისაგან*).

როგორც მოგეხსენებათ, საფრანგეთის დედა ქალაქს პარიჟში წელს საქვეყნო მსოფლიო გამოფენა გახლდათ. ამ გამოფენის დროს ხშირად იკრიბებოდნენ, როგორც თვითონ საფრანგეთისა, ისე სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან ჩამოსული სწავლულები, რათა საერთო გამოცდილებით, დაკვირვებით და ერთმანეთის დახმარებით გამოეკვლიათ ზოგიერთი საჭირო და საინტერესო საგანი და თავიანთი მეცნიერული, უტყუარი აზრი წარმოეთქვათ. სხვათა შორის ერთ ამ გვარ კრებას (კონგრესს) მეცნიერთა ერთი დიდად საყურადღებო და მთელის კაცობრიობისათვის დიდმნიშვნელოვანი საგანი განუხილავს და სტატისტიკურად გამოკვლეული და შემოწმებული აზრი დაუსკვნია. ეს საგანი გახლავთ ის, თუ რა უბედურება მოელის კაცობრიობას მაგარის სასმელების გადაჭარბებით ხმარებისაგან, ანუ ალკოჰოლისაგან.

კონგრესი ჯერ იმის გამოკვლევასა და შემოწმებას შეუდგა, თუ რამდენად მატულობს მაგარის სასმელების ხმარება ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა ქვეყანაში და რა მავნებელი შედეგი მოსდევს იმის ხმარების გაძლიერებას. აი ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა ამ საგნის შესახებ: ბელგიაში 14 წლის განმავლობაში ალკოჰოლის ხმარებას უმატნია კაცის თავზე 7 ლიტრიდგან **) (литръ) 9-დის

*) ალკოჰოლი ჰქვიან იმ ძალას, რომელიც ყოველ მაგარ სასმელში მოიპოვება: ღვინოში, ლუდში, არაყში, რომში, სპირტში და სხვ. რამდენადაც მომეტებული ალკოჰოლია სასმელში, იმოდენად უფრო მაგარია სასმელი და უფრო ჩქარაც ათრობს ადამიანს.

**) ლიტრი თითქმის გარნცის სამს მეათედს უდრის.

---

შენგან შობილმან ჩვენ ღირს გვყვნა აღმოშობად
ჰნელით ნათლისად, ნათლითა მხედველობად;
შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა ძისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად;
მე თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა
ედემს ლადირად[4]) სამხრით და ჩრდილოეთით.
შუა მფლობელი, იავარს[5]) შენდა გმრთელობ,
ხალიფას დროშას, თანავე მანიაკსა[6]),
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა ლაზოდ[7])
მძლვანი;
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოიხარმან,
მოითხრნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი.
ირანს ებრძოდეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მკედარნი, მოსავნი შენნი, სძალო!
მოსწყულნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი;
მუნით მოხმულთა[8]) ნიჭთაგან ერთსა იმას
შენდა შევსწირავ. მიოხე მეებრ, ღმერთო.

ასეთის ზედ-წარწერით თამარმა ხახულის ღვთის-მშობელს მიუძღვნა ხალიფას დროშა, რომელიც წაართვა მაჰმადიანთ შანქორის ომში.

ჩვენ ვიცით, რომ მეათე საუკუნიდგან მცირე აზიაში გაძლიერდნენ ოსმალნი ანუ თურქნი. ამათ დაიპყრეს მრავალი ქვეყანა. ამ დროს სომხეთი უკვე დამხობილიყო. ამ გვარად საქართველოს წინანდელს დაუძინებელს მტერს—სპარსეთს ახლა მიემატნენ ოსმალნიც, რომელნიც მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ საქართველოც დაეპყრათ და დაემონებინათ. მაგრამ საბედნიეროდ მეათე საუკუნიდგან საქართველო ერთდება და მე-XI საუკუნეში ძლიერი ერთ-მეფობა მყარდება. ნიჭიერის მეფეების შემწეობით მთელს ქვეყანას ძალა ეძლევა, ვრცელდება სწავლა-განათლება, ზნეობით, გონებით და ქონებით ქვეყანა წარმატებაში შედის და დავით აღმაშენებელისა და თამარ დედოფლის დროს ხომ უფრო მეტად ჰყვავის ქვეყანა. აი ამ გვარ წარჩინებულ მოღვაწეების მფარველობითა და წინამძღოლობით ქართველნი ყველგან იმარჯვებენ ზედ-მოსეულს მტერზედ. საქართველოში მყარდება მყუდროება, მოსვენებული ცხოვრება. საქართველოს გარეითადაც ქართველნი იმარჯვებენ მცირე აზიაში, ვიდრე კარნუ ქალაქამდე, იპყრობენ სპარსეთის ჩრდილოეთ მხარეს, ვიდრე კასპიის ზღვამდე. საქართველოს კულტურა შედის თვით კავკასიის მთებშიაც-კი.

ამ გვარ სურათის მაყურებელნი მაჰმადიანი მიიმართებიან წინაშე ბაღდადის ხალიფასი და სთხოვენ შემწეობას. ხალიფა გასცემს ფიცხელს ბრძანებას, რათა შეჰკრიბონ აურაცხელი ლაშქარი. იმის ბრძანებას ფიცხლავ ასრულებენ. შეიყრება დიდ-ძალი ლაშქარი ყოველ სათათრეთიდამ, თვით სამარყანდ-ინდოეთიდამ მოკიდებული დარუბანდამდის. „შეკრბა კსოდენ, ვითარ არცა რიცხვი იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს ბაღდადს და მაშინ-ღა გამყარნეს წავიდეს თვისი. რამეთუ დროშაცა თვისი წარმოეცა ხალიფას, რომლისა თავსა იყო ოქრო ათასისა ხალიფურისა.“

თამარმაც შეჰყარა თავისი ლაშქარი, ალოცა ღმერთს, გაამხნევა ამ სიტყვებით: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისათვის მათისა და სიმცირისათვის თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთანა არს“ და გაისტუმრა თავის ქმრის დავითის წინამძღოლობით.

1193 წელს ივნისის თთვეს ქართველი ლაშქარი, ვეც-კლადე განწყობილი, დაეცა მტერს შანქორთან, სძლია და განჯამდე შერეკა, მაგრამ მტერი იქაც ველარ გამაგრდა, იძლია სრულიად და ქართველთ აიღეს ეს ქალაქიც. „...და სთ-ქვეს რაზმი მათი დასხნეს და ვითარცა თქვენთა მოსვრიდეს და ვითარცა ქათამთა აპყრობდეს; დიდთა მათ ამირათა მათთა და მრავალთა წარჩინებულთა, ვითარ შეურაცხულნი, წვრილთა ზიდვითა მოიყვანებდეს წინაშე დავით მეფისა...“

ამ გამარჯვებას აი რა მოჰყვა: რამდენისამე დღის შემდეგ ტფილისის ქალაქში გაიმართა საერო დღესასწაული. „განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდის: აქლემი ყოველი ტვირთითა, ცხენი ყოველი აკაზმულობითა, ხვრეთვე ყოველი იგი ამირანი თვისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგის, შემდგომითი შემდგომად გასწყვეს გარიდგან ქალაქისათ, ვიდრე გლდანის ხევამდე, ტყვე ყოველი: კაცი კელმწიფე-აზნაურთა მონამდის თორმეტი ათასი, ავაზა[9]) ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შვიდი ათასი, აქლემი თხუთმეტი ათასი,—ყოველი კიდებული. სხვათა სიმდიდრეთა და საჭურჭლეთა, ოქროთა და ვერცხლთა ვინმცა უძლო აღრიცხვად“.

ამის შემდეგ გამობრძანდა ქალაქიდგან თამარ ტყვეთა და ალაფის დასახედავად და „შეიწირნეს და ათავყანეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი“.

გახარებულმან თამარ უწინარეს ყოვლისა მადლობა შესწირა უფალსა და ნიშნად მადლობისა ხალიფას დატყვევებული დროშა წარგზავნა გელათს ხახულის ღვთის-მშობლის ხატის წინაშე და ზემორე მოყვანილი „იამბიკო ხუთეული ოც-და-ხუთ ლექსად აღწერა“.

ამ გვარი, ყოველის ჭეშმარიტის ქართველისათვის, სასიქადულო საუნჯენი ინახება საქართველოს დიდებულს ტაძარ-მონასტერში და რამდენია კიდევ სხვაც, რომელიც ჯერ უცნობნი, ანუ დაფარულნი არიან ჩვენთვის. მაგ., ერთი ამ გვარი ძვირფასი ნივთი ეხლა ხანს უპოვნია დ. ბაქრაძეს ხოპის მონასტერში. იგია თამარ-დედოფლის გულის-ჯვარი. ეს ჯვარი მთლად ოქროსია, რომლის პირი მოჭედილია 15-ის ძვირფასის ქვით, ხოლო ფრთების კუთხეებში უზის ექვსი დიდრონი ანუ ობოლი მარგალიტი. წინა პირსა და უკანა პირზე კი აწერია:

„მელო ჭეშმარიტი, მალო ჯვარისაო, შენითა წინამძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ მექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.

ამ გვარს ნივთებს უცხო ტომის ხალხნი დიდის მოწიწებით ინახვენ, უვლიან, ხოლო ჩვენში-კი ჯერ სად არის ის ცხოველი და ძლიერი გრძნობა, რომ ღირსეულად ვაფასებდეთ საერო სიწმინდესა და ნაშთს ქვეყნის დიდებისასა, ვაფასებდეთ და თან ვიფარავდეთ და ვიცავდეთ კიდეც...

ესომ

[4]) ლადირი, ანუ ქედი გორაკთა ნარზადული.

[5]) იავარი—ალაფი, ნაფორიაქალი.

[6]) მანიაკი—საყელო მოთვალულ-მომარგალიტული.

[7]) ლაზო—შური უკიდურესი.

[8]) მოხმული—მიტანილი.

[9]) ავაზა სპარსულად ივეზდ ჰნიშნავს ვეფხვსაცა და მეკაზარ ძაღლსაც.

და სამიკიტნოებისა და ტრაქტირების რიცხვიც ისე გამრავლებულა, რომ ეხლა იქ ერთი სამიკიტნო მოდის 43 სულზე, თუ ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას ვიანგარიშებთ ერთად, ხოლო თუ მარტო დიდები და მამაკაცები ვიანგარიშეთ, მაშინ 8 სულზე ერთი სამიკიტნო მოვა. ამავე დროს დანაშაულთა რიცხვს უმატნია ცხრამეტ ათასიდგან ოც-და-ცხრა ათასამდე. ამას გარდა ჭკუაზე შეშლილთა რიცხვი ასულა რვა ათასიდგან ათი ათასამდე.

საფრანგეთში ამ 14 წლის განმავლობაშივე ალკოჰოლის ხმარებას უმატნია თითო მცხოვრებზე 2,72 ლიტრიდგან 3,83 ლიტრამდის, დანაშაულთა რიცხვს ას სამოც-და-ათ ათასიდგან ას ოთხმოც-და-ხუთ ათასამდე; ჭკუაზე შეშლილთა რიცხვსაც ოც-და ჩვიდმეტ ათასიდგან ორმოც-და-თორმეტ ათასამდე.

იტალიაში 13 წლის განმავლობაში ალკოჰოლის ხმარებას კაცის თავზე მოუმატნია 2-დგან 5 ლიტრამდის; დანაშაულობას თოთხმეტ ათასიდგან თხუთმეტ ათასამდე; ჭკუა შეშლილთა რიცხვსაც თხუთმეტ ათასიდგან ოც-და-ორ ათასამდის.

ყოველსავე ამას ისიც დაუმატოთ, რომ, მოხსენებულ კონგრესის ანგარიშით, ყველა ზემოდ ჩამოთვლილს ქვეყანაში 14 წლის განმავლობაში თავის მოკვლაც ისე გახშირებულა, რომ ერთი-ორად უმატნია. ამ გვარის გამოანგარიშებითა და გამოკვლევით კონგრესს ის სამწუხარო აზრი დაუსკვნია, რომ თუ სულ ასე თანდათან იმატა მაგარის სასმელების ხმარებამ, ანუ ლოთობამ, კაცობრიობას სრულიად გადაშენება მოელისო.

ყველაზე უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ მაგარი სასმელები ჰკვეთავს და სტეხს ადამიანის სიმრთელეს, აზიანებს იმის არსებას და ამ გვარად ჰღუპავს როგორც ძველს, ისე ახალს, მომავალს თაობასაც. ერთს დოქტორს, სახელდობრ დრიზდელს, გამოუკვლევია და ამბობს, რომ ლოთი ადამიანი ფხიზელთან შედარებით 6 წლით ადრე კვდებაო. ამას გარდა იმ მამების შვილები, რომლებიც ლოთობენ, იბადებიან სხვა-და-სხვა სნეულებით შეპყრობილნი და დაბადებითვე დაჰყვებათ ხოლმე მრავალ გვარი ნაკლულევანება, როგორც ხორცისა, ისე სულისა. ესეთი შვილები არიანო, ამბობს ზემოხსენებული ექიმი: ნამდვილი კანდიდატები მომავალ ბოროტ-მომქმედთა, თავის მკვლელთა და ჭკუაზე შეშლილთაო. მისისავე გამოანგარიშებით და გამოკვლევით, ცხრა მეათედი დანაშაულთა, თავის მკვლელთა და ჭკუა-შეშლილთა არიან შთამომავალნი ისეთის მამა-პაპისა, რომლებიც ლოთობას იყვნენ მიჩვეულნიო.

ეხლა ისიც მოიხსენეთ, რა ზარალს აძლევს ეკონომიურად ლოთობა კაცობრიობას. მეცნიერთა აზრით, იმ ზარალს, რა ზარალსაც ლოთობა აძლევს ხალხს, ვერაფერი სხვა ზარალი ვერ შეედრება: ვერც ცეცხლისა, ვერც წარღვნისა, ვერც მავნე ცხოველთა, ვერც გადამდებ სნეულებისა და სხვ. მეცნიერის ჟიულ-როშარის გამოანგარიშებით, მარტო საფრანგეთს ეძლევა წელიწადში ლოთობისაგან მილიარდ ნახევარის ზარალი.

რაღა თქმა უნდა, ძლიერ საინტერესო და საგულისხმიერო იქნებოდა ჩვენთვის, ყოველ-მხრით რომ გვქონდეს შეკრებილი სტატისტიკური ცნობანი მისი, თუ რამდენად მომეტებული სასმელი იხარჯება ჩვენში ლოთობის გამო და რამდენად მავნე და საზარალო ჩვენის უმისოდაც გაღატაკებულის ერის კეთილდღეობისთვის ლოთობა, მაგრამ ესეთი ცნობანი ჩვენ არა გვაქვს, თუმცა არც ისე ძნელი მიხვდეს კაცი, რა სიკვდე მოაქვს ჩვენთვის ლოთობას. მომეტებულის ღვინის მსმელი ჩვენში, თუ მეტი არა, ნაკლები მაინც ხომ არ იქნება, ვიდრე სხვა ქვეყნებშია. უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ, ათი ათასის თუმნის ღვინო მაინც ხომ დაინთქმება ჩვენში ლოთობის გამო. მაგრამ ამან თქვენი ჰირი წაიღოს: რამდენი კაცის კვლა, ჩხუბი, ჩხა, საჩივარი და სხვა ბოროტება მოსდევს ჩვენში ლოთობას? თითონაც ხომ ბევრნი სნეულდებიან ლოთობისაგან, უდროოდ ეთხოვებიან ამ სოფელს და ცოლ-შვილსაც უმოწყალოდ სტოვებენ? ახალ თაობაზედაც ხომ უეჭველია ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ბევრ ნაირი მავნებელი ზედ-მოქმედება უნდა ჰქონდეს ლოთობას. ვის შეუძლიან სთქვას, რომ ლოთის შვილი ჯან-მთელი, სულით საღი და გონიერი ადამიანი გამოვაო? ამასთანავე ლოთის შვილს ჩასახვის დროსვე თან დაჰყვება ხოლმე მამის სურვილი ლოთობისა და, თუ მამის მაგალითების ნახვასაც მოესწრო, ცხადია, მიჰბაძავს კიდეც და იმის გზასვე შეუდგება.

ეხლა ისიც ვიკითხოთ: მოეპოვება რაიმე წამალი ამ ყოვლის მხრით მავნე, ადამიანის დამამცირებელსა და დამღუპველს ჩვეულებას, თუ არა? შესაძლებელია მასთან ბრძოლა, თუ არა?

ზოგიერთნი განათლებულნი ერნი და ქვეყნები მიხვდნენ ამ უკანასკნელს დროს, რა უბედურებაც მოელით ლოთობისაგან, შეუდგნენ საწინაამდეგო ღონისძიების მოპოვებას და კიდეც იპოვეს. ასეთი ქვეყნებია სხვათა შორის: ნორვეგია, შვეცია და ფინლიანდია ევროპაში და ზოგიერთი შტატები ჩრდილო-ამერიკაში.

უწინ ნორვეგიაში და შვეციაშიაც ისე იყო გავრცელებული ლოთობა, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ იქ ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ერთი-ორად უკლია მაგარ სასმელების ხმარებას; ამასთანავე ერთი ორად იკლო დანაშაულთა და ჭკვაშეშლილთა რიცხვმა. ლოთობის წინაამდეგ ამ ქვეყნებში ბრძოლა დაიწყო კერძო საზოგადოებამ. 1865 წ. შვეციის ქალაქში, სახელდობრ გოტენბურგში, დანიშნული იყო კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბაზარში სასყიდელ სანოვაგეს განკარგება. ეს კომისია უპირველეს ყოვლისა შეუდგა სამიკიტნოების განკარგებას: მან დაადგინა, მაგარი სასმელები უთუოდ ნაღდ ფულზე გაეყიდნათ და არა ნისიად, დუქანი დიდსა და წმინდა სადგომებში ყოფილიყო მოთავსებული და რომ იქ, სადაც სასმელებსა ჰყიდდნენ, უთუოდ საჭმელებიც ჰქონოდათ. შემდეგ ამისა შესდგა კერძო საზოგადოება, რომელმაც სამის წლის განმავლობაში შეისყიდა ყველა სამიკიტნო და ტრაქტირი. მერე ზოგი მათგანი მოსპეს და დანარჩენი კარგად მოაწყეს. ამ გვარად იქ ეხლა ყველა ადგილები, სადაც-კი მაგარს სასმელებს ჰყიდიან, ამ საზოგადოებას ეკუთვნის. საზოგადოებას დაჭერილი ჰყავს ნოქრები იმ პირობით, რომ ჯამაგირის ნაცვლად აღიან დანიშნული პროცენტი მოგებიდამ, მაგრამ სასმელების ვაჭრობით-კი არა, არამედ სიგარებისა, ჩაისა, ყავისა და საჭმელების გაყიდვით. ამიტომ ნოქრები სცდილობენ ხალხს, რომელიც სამიკიტნოებში და ტრაქტირებში დადის, ფული დაახარჯვინოს, მაგარ სასმელებში-კი არა, არამედ ჩაისა, ყავასა და საჭმელებში. ამას გარდა საზოგადოება მაგარ სასმელებს ჰყიდის ძალიან კარგს და მეტად ძვირად, რომ, რა არის, ცოტა გაიყიდოს და ცოტა დაილიოსო. თანაც სასმელებით სავაჭრო ადგილები საღამოობით ძრიელ ადრე იკეტება. კვირაობით სადილობამდის ერთს კაცს არ შეუძლიან ერთის სტაქნის მეტი არაყი, ან სხვა მაგარი სასმელი იყიდოს. ამ ღონისძიების წყალობით გოტენბურგში საკვირლად იკლო ლოთობამ. მთელს შვეციასა და ნორვეგიაში ყველა სხვა ქალაქებმაც მიჰბაძეს გოტენბურგის მაგალითს: გამართეს ყველგან საკუთარი საზოგადოება, შეისყიდეს ყველა კერძო სამიკიტნო და ტრაქტირი და ამ გვარად ჩაიგდეს ხელში მაგარის სასმელებით ვაჭრობა. საზოგადოებათა ამ გვარმა მოქმედებამ ის კეთილი ნაყოფი მოიტანა, რომ ეხლა შვეციისა და ნორვეგიის ქალაქებში 704 მცხოვრებზე მხოლოდ ერთი სამიკიტნო მოდის, სოფლებში-კი 13,409 კომლზე მხოლოდ ერთი სამიკიტნო. ამას გარდა ამ ქვეყნებში ეხლა მაგარი სასმელების დუქნების რიცხვი, შედარებით რომ ვიანგარიშოთ, 59-ჯერ ნაკლებია, ვიდრე შვეიცარიაში და 180 უფრო ნაკლები, ვიდრე ბელგიაში.

ამას გარდა ნორვეგიაში ყველა ქალაქის საზოგადოება წმინდა მოგებას, რაც-კი რჩება სასმელების ვაჭრობიდამ, ახმარებს საზოგადო საჭიროებას და კეთილს საქმეს. შვეციაში-კი წმინდა მოგებას პირდაპირ სახელმწიფო ხაზინაში ჰგზავნიან.

მას აქეთ, რაც ფინლიანდიაში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს, სულ 20 წელიწადია. 1865 წლამდის იქ ლოთობა ისე იყო გავრცელებული, როგორც სხვაგან; ამ წლიდგან დაწყებული-კი ბევრი ცვლილება მოხდა. სოფლებში ყველა სამიკიტნო დაკეტეს, ქალაქებში-კი მარტო იქ აქვთ უფლება გაჰყიდონ სასმელები, სადაც საჭმელებსაც ჰყიდიან. ამ უკანასკნელს დროს სასმელების დუქნების გამართვის უფლება დაუსაკუთრეს მხოლოდ სხვა-და-სხვა სამადლო და საქველ მოქმედო საზოგადოებას, რომელთაც წება აქვთ გამართონ ტრაქტირები მხოლოდ იმ წესით, როგორც შვეცია-ნორვეგიაშია შემოღებული. მთელს ფინლიანდიაში, სადაც ორ მილიონამდის მცხოვრებია, ეხლა სულ 506 დუქანია სასმელებისა. ქალაქებს გარეშე-კი სრულებით მოსპეს, როგორცა ვსთქვით, მაგარი სასმელებით ვაჭრობა. ამ გვარის ღონისძიების წყალობით ფინლიანდიაში ლოთობა თითქმის სრულიად მოისპო. თუ ვინიცობაა ვინმემ გაჰბედა დათრობა და მთვრალი ნახეს თავის სახლის გარეშე, 40 მარკა ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

ამერიკაში-კი სხვა ღონისძიებას მიჰმართეს ლოთობის მოსასპობლად, მაგრამ იქაც, როგორც შვეცია-ნორვეგიაში, საქმე კერძო საზოგადოებამ დაიწყო. შეადგინეს სხვა-და-სხვა ქალაქში სიფხიზლის საზოგადოებანი, რომელთაც ეხლა ჩრდილო-ამერიკაში მილიონობით წევრები ჰყავთ. საზოგადოებათა წევრნი იკრიბებიან სხვა-და-სხვა ქალაქში, ჰმართავენ მიტინგებს და ჰქადაგებენ ლოთობის წინააღმდეგ. ამას გარდა ამ გვარ საზოგადოებათ იქ ეხლა 84 გაზეთი აქვთ, რომლებიც განსაკუთრებით სიფხიზლის გავრცელებასა და ლოთობის მოსპობას ჰქადაგებენ. ამ გვარ საზოგადოებათა მეცადინეობით საქმე ისე კარგა წავიდა, რომ ეხლა ჩრდილო-ამერიკის შვიდს შტატში, სხვა შტატების მრავალ ქალაქში და კანადაში სრულიად აკრძალულია გამოხდა და გაყიდვა ლუდისა, ღვინისა და არაყისა. იქ მაგარი სასმელი შეიძლება იყიდოს კაცმა მხოლოდ აფთიაქში და ისიც მკურნალის რეცეპტით, როგორც წამალი.

ვგონებთ, არ იქნებოდა ურიგო ჩვენშიაც ვფიქრნათ, რომ რაიმე ღონისძიება აღმოჩინათ ლოთობის შესამცირებლად, რადგან მოსპობას, ვგონებთ, თავის დღეშიაც ვერ მოვესწროთ...

გ. წყალტუბელი

## წვრილი ამბები

შესანიშნავი ამბავი მომხდარა ამას წინად ელსენფურტში. ორშაბათს, წარსულს კვირას, იქ დაუპატიმრებიათ ვიღაც გრაფი სანდორვაი, რომელიც დედაკაცი აღმოჩენილა. ეს ახალგაზრდა ქალი დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა მამაკაცებისა და ისე სძულებია მამაკაცობა, რომ ყოველთვის კაცის ტანისამოსი უტარებია. რომ უფრო მეტად დაერწმუნებინა ყველასთვის, მამაკაცი ვარო, ამ ქალს ამ წლის ზაფხულს ელზენფურტს ერთი ლამაზი ქალიც-კი შეურთავს ცოლად.

— მაინის ფრანკფურტში ამას წინად უთამაშნიათ დომინო და პირობად ისა ჰქონიათ დადებული, რომ წაგებმა 6,800 ფინჯანა ყავა უნდა უყიდოს მოგებულს. ზერები ყოველ დღე იკრიბებოდნენ დომინოს სათამაშოდ. პირველი თამაშობა რომ მოუგია ერთს ბედნიერს, მეორე ზერს კიდევ მოუგდომნია თამაშობა. პირველად წაგებულს მეორედაც წაუგია და ამ გვარად 6,800 ფინჯანი ყავა ჰმართებია. ამ ყავის ზღვის მაგიერ წაგებს მოგებისათვის 1,700 მარკა მიუცია.

— როგორც ეტყობა, ჩინეთსაც განუზრახავს ცივილიზაციის თითონაც შემოიღოს და ევროპას არაფრით ჩამორჩეს უკან. ჩინეთში ამ ჟამად არამც თუ მარტო ზარბაზნები და ახალი ტორპედები შემოუღიათ, კონცესიონერებსაც-კი ურიგებენ თურმე რკინის გზის გაყვანისას. ელექტრონის სინათლის შემოღებასაც განუზრახავთ. მთავრობას უკვე პირობის ქაღალდი შეუკრავს ამერიკულ კომპანიას „Westinghouse Electric Compagnie“-სთან, რომელიც ქუჩებს და მოედნებს გაანათებს.

— საფრანგეთის სოციალისტთა დეპუტატს ტივრიეს თავისი დანაპირები შეუსრულებია. ეს კაცი დეპუტატთა პალატაში ხალათით მისულა. ამ დეპუტატის ტანისამოსი ამ ჟამად პარიჟის გაზეთებს ისე წვრილად აქვთ აწერილი, როგორც რომელისამე გამოჩენილის ქალის საბალო ტანსაცმელს ასწერენ ხოლმე. დეპუტატის ლურჯი ხალათი ძალიან ლამაზად და კოხტად არის შეკერილი. მაინც კიდევ პალატის ბოქაულმა ეჭვით შეხედა თურმე პალატის კარებზედ მომდგარს ტივრიეს, შეიძლება თუ არა ეს კაცი შეუშვას, და არც უშვებდა, კიდრე კლიუზერომ არ აცოდინა, რომ ეგ კაცი ახალი დეპუტატიაო; ტივრიეს ხალათს ქვეშ მაუდის სერთუკი სცმია.

— ლონდონში უკვე დაუბეჭდიათ და დაურიგებიათ პირველი ნომერი საყმაწვილო ჟურნალისა, რომელსაც ეწოდება «Sunrise» (მზის ამოსვლა). ამ ჟურნალს ადგენს და ჰბეჭდავს თურმე თავისის ხარჯით არტურ ბეკერი, 14 წლის ბიჭი. ეს ყმაწვილი რედაქტორი, რომლის სურათიც ჟურნალის პირველს ნომერშია დაბეჭდილი, აცხადებს, რომ ეს ჟურნალი სასუფევლად არა გვაქვს დაწყებულიო, და ჰპირდება, რომ დრო-გამოშვებით ინგლისის საზოგადოებურს ცხოვრებასაც მივაქცევთ ყურადღებას, ხოლო პოლიტიკაზედ-კი სულ არაფერს დავსწერთო.

— როგორც მოგეხსენებათ, მაიმუნი გერმანელების მოგონილია. ამაზედ არ შემდგარა და იმავ გერმანელს ძალიან ერთ გვარი იარაღი გამოუგონია, რომლის შემწეობით წაღები თავის თავად ეცმის ადამიანს ფეხებზედ და ფეხთსაცმელის ჩაცმას არავითარი წვალება არ უნდა... ამ ახირებულის იარაღისათვის გამომგონს «Der Stiefelanzieher»-ი უწოდებია.

— პრინც ოსკარ ბერნადოტს, მეორე ვაჟიშვილს შვეციის მეფისას, ამას წინად ორი მატროსი გადაურჩენია. პრინცი თავის სახლის ფანჯარასთან იდგა თურმე კარლსკრონაში და უცბად თვალი მოჰკრა, რომ ზღვაში ნავი გადაბრუნდა და მატროსები წყალში ჩაცვივდნენ. მაშინვე ჩავიდა პრინცი ძირს, ტანისამოს-გაუხდელმა წყალში გასცურა და ორი მატროსი გამოიყვანა ზღვიდგან.

— ერთს ამერიკელს დაუკვეხნია, რომ ყველა რკინის გზით ვიმგზავრებ ისე, რომ არაფერი გადავიხადოვო, და თავისი სიტყვა ასრულებია კიდეც. მართალია, ეს ახირებული კაცი 180 ჯერ გადმოუსვამთ ვაგონიდგან, მაგრამ იმას მაინც თავისი გაუტანია.

— ერთს ფიზიოლოგოსს დიდის თავის ტეხითა და მტვრევით გამოუანგარიშნია, რომ ბუზი ფრენის დროს ყოველ წამში 330 ჯერ სცემს ფრთას-ფრთას, ასე რომ ყოველ წუთში ერთს კილომეტრის ადგილის გაფრენა შეუძლიანო. ბუზმა რომ პირდაპირ იფრინოს ოც-და-რვა დღე, მთელს ქვეყანას მოივლისო.

— მადრიდიდგან „Daily News“-ს შემდეგს ამბავსა სწერენ: თორმეტის წლის ყმაწვილმა ქუჩაზედ ბანკის ბილეთი იპოვნა 100 პეზეტად ღირებული. დასჩურდავს ეს ბილეთი და ნაპოვნი თავისს მეორე თერთმეტის წლის ამხანაგს გაუნაწილა. შემდეგ იყიდა დამბაჩა, თოფის-წამალი და ტყვია და დაუწყო თურმე ბრძოლა მეორე თავისს ხნის ყმაწვილს ერთის თორმეტის წლისავე ყმაწვილის ქალის გულისათვის, რადგან ეს ორივეს მიერ შეყვარებული ქალი მეორე 12 წლის ყმაწვილს უფრო ტკბილად ეპყრობოდა. ამ ორს მეტოქეს პირველში სადიპლომატიო მოლაპარაკება ჰქონდათ ერთმანეთში. ამ დროს შემთხვევით გამოიარა თურმე იმ თორმეტის წლის ქალმა, რომელიც ორივეს უყვარდათ და რომელსაც თან გოგო მოსდევდა. პირველმა თორმეტის წლის ყმაწვილმა სიბრაზით თავი ვეღარ შეიკავა, დაუმიზნა, ესროლა სატრფოს და იქვე იიკ წვაინა ორივე თორმეტის წლის ყმაწვილი დაჭრილია. პაწია მკვლელი ამტკიცებს, რომ დამბაჩა უცრად გამივარდა დანზრახ არ მისროლიაო.

# დეპეშა

## 16 ნოემბერი

კიზილ-არვადი. როცა კერკში გენერალი მატვეევი იყო აფიცრებითურთ, ბუხარა-ავღანისტანის მოსაზღვრე სოფელ ბოსაგაში გენერლის წინაშე წარსდგა ავღანისტანელი აფიცერი და გამოუცხადა, რომ ემირი აბდურახმანი და თვით ავღანელნი რუსების მეგობრობას არიან მოწადინებულნი, ამიტომ აფიცრები გვეწვივნენ და ცხენებისთვის საკვებიც ჩვენგან წაიღონო.

ვენა (განსაკ. დეპეშა). გუშინ ლანდერ-ბანკის მართველობამ დაიწყო შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ნება დაგვრთეთ ბოლგარიის მიერ აღებული სესხი ვენის ბირჟაზედ გავანაღდოთო.

ბრისტოლი. იმის გამო, რომ ვაჭრებმა გემის მუშებს გამოუცხადეს: დაგითხოვთ სამსახურიდგან, თუ სხვა ქვეყნელ მუშებთან ერთად ყოფნის უარს იტყვითო, ბრისტოლისა და განმაუტის დოკების ყველა მუშებმა, რიცხვით 4,000 კაცამდე, დღეს მუშაობა აჰკვეთეს. ამ მუშაობის აკვეთას ის მოჰყვება, რომ სხვა ნავთ-საყუდელის მუშებიც აჰკვეთავენ მუშაობას. ხომალდებიდგან საქონლის გადმოტანა შეყენებულია.

## 17 ნოემბერი

მისორი. დღეს, როცა გარეული სპილოები შერეკეს მოლობილს ალაგას და უნდა დაებათ, ერთი სპილო ეცა პრინცს ალბერტს-ვიქტორს, რომელიც იქვე ახლო იყო და თუ არ პოლკოვნიკი სენდერსონი პრინცი განსაცდელს ვერ გადარჩებოდა. პრინცი უვნებლად ავიდა შემდეგ მაღლა, საცა გამართულია ადგილი იმათთვის, ვისაც უნდა უყუროს, როგორ ნადირობენ გარეულს სპილოებზე.

ბუქარესტი. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა 86 ხმით გიორგი კანტაკუზენი. მისმა მოპირისპირე კანდიდატმა მიიღო მხოლოდ 54 ხმა, ხოლო დიმიტრი ბრატიანომ—23. ოთხი არჩეული ვიცე-პრეზიდენტი სასიამოვნო კაცები არიან სამინისტროსათვის.

პეტერბურგის 13 ბირჟა, ნოემბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 58 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 245½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 224½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.

| | | |
|---|---|---|
| პური 1-ის ხარისხისა. | | 3½ |
| „ 2 „ | | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | | 5 „ |
| „ „ 2 „ | | 4 „ |
| „ „ 3 „ | | 3½ |

ჭვარის მამის პურის ლავაში

| | | |
|---|---|---|
| 1-ლის ხარისხისა | | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | | 4 „ |
| მე-3 — | | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| „ 2 „ | | 7 „ |
| სუკი | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 „ |
| ღორის ხორცი | | „ „ |
| „ 2 „ | | „ „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.



# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხესილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით | „ | 25 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |
| ელტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“ | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 20 |
| ყდით | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა | „ | ,0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა | „ | 0 |
| ცხოვრება ღირსისა მამისა გრიგოლისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |




მომზადება და გასყიდვა, ვითარცა იხეთის წამლისა, რომელშიაც მავნებელი ნივთიერება არა არის-რა გარეული, ნება-დართულია პეტროვსკის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების მიერ გაჭრობის საზოგადო საფუძვლით.

## ახალი კოლდ ~ კრემი

# ალდეხიდი

ქიმიკოსის ბლადიოსი

ვინც ყოველ დღე იხმარებს, იმას კანს ურბილებს, უთეთრებს და ჭმუჭნებს შეუმჩნევლად უხდის სახეზედ.

ალდეხიდში არავითარი ქონისებური ნივთიერება არ არის ნარევი და ამიტომ არასოდეს ფუჭდება, ტანისამოსზედ არავითარს ლაქას არა სტოვებს, და ასეთი თვისება-კი არც ერთს სხვა კოლდ-კრემს არა აქვს.

უმთავრესი საწყობი იმყოფება მოსკოვში, სტარო-გოსტინის ქარვასლაში, ბ. კრიემერთან.

(10—1)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვეის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უდნა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.



Доз. ценз. Тифлисъ 17-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Меохи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.